# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 259. ხუთშაბათი, 7 ოქტომბერი 1904 წ. გაზეთის № 2632.

# მონები

ჯერომ კ. ჯერომისა

ჩემის სამუშაო ოთახის სარკმელი ჰაიდპარკს გაჰყურებს. როგორც განცხადებების კითხვა, ისე ამ სარკმლიდან ცქერაც, საგულისხმო და თავ-შესაყოლებელია. თვალ-წინ გეშლება მცირე ნაწილი კაცობრიობის ცხოვრებისა. გაალებენ თუ არა ჭისკარებს, ხედავ, რომ სახლისკენ ძლივს მოლასლასებს ქუჩის ქალი. მის სამწუხარო შრომას დაღამებამდის ბოლო ედება. დილის მსუსხავი სიცივე აკანკალებს და სახლისკენ ეშურება საცოდავი მონა ცხოვრებისა. გაჭირვების უდაბლესს ბაქანზე შეუტყუებიათ და მუნ ჯაჭვით შეუბორკავთ,—ამბობენ, ცივილიზაციას სჭირდება ესე მოტყუებული არსებანიო! მათი დანიშნულება ძალიანა ჰგავს აღმოსავლეთის ქალაქებში ძაღლების დანიშნულებას. თუმცა კი, მე მგონია, ჩვენ მიერ ეგრედ სასტიკის ზიზღის ღირსნი მაინც არ არიან. წადი, წადი შენს სოროში, საბრალოვ! შეიძლება მოწყალე ღმერთებმა შეგიბრალონ და სიზმრათა ნახო წმინდა კერა.

ამ ქალის შემდეგ მოდის გლეხი——შეშის მპობი, წყლის გადამსხმელი და თავის საქმეს იწყებს. თვალები ჯერ კიდევ ძილისაგან ერთურთს ეწებება, სადილი კი ხელ-მანდილში გახვეული თან წამოუღია. კოშკიდან მოისმის საათის რეკა. იჩქარე შენც, ამხანაგო მონობითა, რომ მათრახი ზედამხედველისა—ამ სიტყვებით გამოსახული: „გასწი აქედან, ჩვენ ზარმაცები არ გვჭირდება!“—არ გადაზუზუნდეს შენს მრავალტანჯულ ზურგზე.

შემდეგ მოდის ხელოსანი; ზურგზე ტომრით თავისი ხელსაწყო ჰკიდია. ესეც შეშინებული უგდებს ყურს საათის რეკას! მათრახი იმისთვისაც დამზადებულია.

ამის მერე კი მიმავლობენ ნოქრები—ქალი და ვაჟი. გზა-გზა ერთ-ურთს ეალერსებიან—არ უნდათ, რომ დრო დაკარგონ. ამათ მოსდევენ მონები კანტორისა და საქონლის საწყობებისა, პატრონები და მოსამსახურეები, ბუხჰალტრები და წვრილი ვაჭრები, კომისიონერები და სხვა ვაჭრები. თქვენ თქვენს ალაგას, მონებო სხვა-და-სხვა გვარნო! შეუდექით თქვენს უღელს!



ალექსანდრე მაკედონელი და მისი ცხენი.—სურათი შომმერისა.

შემდეგ სიცილითა და ყვირილით მორბიან შვილები—ვაჟები და გოგოები მონებისა. იყავით ბეჯითნი, პაწიებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა




**იმპერატორი პეტრე მე-III**

შლისერბურგის სატუსაღოში დამწყვდეულ დიდ მთავარ იოანე ანტონის ძესთან.—სურათი ბუროვისა.

ისწავლეთ განარკვები, რომ მზად იყვეთ მალე ჩვენის ხელიდან მიიღოთ მოჭრიჭინე, გაბზარული ჩვენი ნიჩაბი და დაჯდეთ ჩვენს ალაგას აბორგებულ მორევის პირას. იცოდეთ, რომ მუდამ კი არ ვიქმნებით მონები, პაწიებო. არსებობს ესეთი კარგი კანონი—ამდენსა და ამდენს ხანს კატორგაზე, ამდენსა და ამდენს—მინდვრად; შემდეგ კი თავისუფლებას მივიღებთ. მაშინ ჩავეშვებით მიწაში, პაწიებო, საიდანაც ამოღებულნი ვართ. თქვენ კი აქ უნდა დაგტოვოთ, რომ განაგრძოთ ჩვენი შრომა. მაშ გასწით, პაწიებო, სკოლაში და ისწავლეთ ბეჯით, პაწია მონებად ყოფნა.

ამათ შემდეგაც მომავლობენ უფრო გამომძლარი და ხარისხოვანი, სწავლული მონები: ჟურნალისტები, ექიმები, მსაჯულნი და მგოსანნი; ვექილი, მხატვარი, მსახიობი, მღვდელი. ესენიც გარბიან პარკზე და დრო-გამოშვებით აღშფოთებულნი დასცქერიან საათს—საქმეზე არ დაგვიგვიანდესო. ისინი ფიქრობენ ჰონორარზე, გასამრჯელოზე, ქუდებზე, რომლის საფასურიც გადასახდელია, ანგარიშებზე, რომლებიც გასასწორებელია. ამ მონებს, შეიძლება, სხვებზე უფროც ერეკებიან. ამათთვის ორის, ან სამის მაგიერად ორმოცდაათენიანი მათრახია მზად. იმუშავე, მონავ მაღალის ჯგუფისავ, თორემ ორ-კაპეიკიან სიგარის მოწევა მოგიხდება. იმუშავე მეტის გულს-მოდგინებით, თორემ ეკიპაჟს უნდა გამოეთხოვო და მხოლოდ ტრამვაით დაკმაყოფილდე. შენი ცოლი ივლის შარშანდელ მოდის ტანისამოსით. შარვალი მუხლებზე ჩამოგეფხრიწება. კენსინგტონიდან კილბურნს გაგაძევებენ, თუ კი ვერ მოახერხებ საკმაო სალსრის მოპოვებას. ოჰ, მეტად ბევრი ბოლო აქვს შენთვის გამზადებულ მათრახს, ბევრი ენა, ჩემო ლაზათიანო ამხანაგო—მონავ!

ამათ მერეც ჩემ წინ გაივლიან ხოლმე მონები მოდისა, დიდის გულ მოდგინებით მორთულ-მოკაზმულნი. ეს კაცები უფრო იმ ლივრეიში დართულ, განებივრებულ მსახურთ ჰგავან, რომელნიც მხოლოდ საჩვენებლად ჰყავთ და არა სამსახურისათვის. მხიარულნი არიან, თუ მწუხარენი, მაინც მუდამდღე აქ უნდა მოვიდნენ, ისეირნონ უთუოდ ამ ხეივანში და არა სხვაგან სადმე. უთუოდ ერთი და იგივე სიტყვები იხმარონ ერთმანეთთან. ერთი საათის განმავლობაში უთუოდ ჰაიდ-პარკის კუთხიდამ მალაზიამდის და იქიდან კვლავ აქეთ უნდა ისეირნონ ველოსიპედით. უთუოდ ესეთი და ესეთი ტანთსაცმელი უნდა ეცვათ. ხელთათმანი ესეთის და ესეთის ფერისა, კისერ-სახვევიც. ნაშუადღევს კვლავ აქ უნდა დაბრუნდნენ, მხოლოდ მაშინ ეკიპაჟით და სხვა გვარის ლივრეით. ერთი საათიც ამ სულელურ სეირნობას უნდა მოანდომონ. სადილობამდის ერთხელ კიდევ უნდა გამოიცვალონ ლივრეი და ნასადილევს უნდა აღასრულონ სხვა-და-სხვა გვარი მოსაწყენი და თავმომაბეზრებული საზოგადო ვალდებულებანი, სანამ მხრებიდან თავი არ ჩამოექინდრებათ მოქანცულობისა და მოწყენის გამო.

საღამოთი მონები სამუშაოდან ბრუნდებიან: ვექილები თავიანთ მჭევრ-მეტყველურ სიტყვებზე ფიქრობენ; მოსწავლენი შელახულ გრამმატიკას ზეპირობენ; ვაჭრები ცბიერ კომბინაციათა გამოგონებით არიან გართულნი; ხუმარანი ათას ნაირად აწვალებენ თავიანთ ღარიბ ტვინს, რომ, პატრონის გასართობად, რამე ახალი სიმახვილე შეთხზან; ნოქრები ორისავე სქესისა ეხლა მდუმარენი მიდიან შინ და... ეგრევე ხელოსნები, გლეხები და სხვ. ორი თუ სამი საათი ყველას გეძლევათ, მონებო, აზროვნებისა, სიყვარულისა და გართობისათვისაც, თუ მეტად მოღალული არა ხარ სააზროვნოდ, სასიყვარულოდ და გასართობად. შემდეგ წვებით მოსასვენებლად, რომ ხვალ კიდევ დაიწყოთ შრომა—საქმე.

ბინდ-ბუნდი ეფინება არე-მარეს. ბნელდება. კვლავ ჩნდება ქუჩის ქალი. სიბნელესავით, იგი საზღვარს უდებს საქმის დღესა. შრომა მიდის მოსასვენებლად, ბოროტება კი მოძვრება თავის სოროდან.

ესე და ამ გვარად ვშრომობთ ჩვენ, ეს მთელი ჯარი, საჭიროების მათრახ-ქვეშ. თუ კი არ შევასრულებთ ჩვენს სამუშაოს, მათრახი მოგვხვდება, მაგრამ ტკივილს ზურგზე კი არა ვგრძნობთ,—კუჭში და ამიტომაც ჩვენ თავს თავისუფლებს ვეძახით.

ზოგიერთი ჩვენგანი მხნედ იცავს თავის ნამდვილ თავისუფლებას: ესენი არიან ჩვენ მიერ უარყოფილნი და განკიცხულნი. **ჩვენ, კეთილად აღზრდილნი მონები**, ვიშორებთ იმათ, განზე ვუდგებით, რადგან თავისუფლების ხვედრი ამ ქვეყნად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცივე და შიმშილია. ჩვენ-კი ამ სახელის შესაფერი ცხოვრება მხოლოდ მაშინ შეგვიძლიან, როდესაც ყელსაბმურები გვაქვს გაკეთებული.

ზოგჯერ ეკითხები თავს: აბა რა საჭიროა ესეთი დაუსრულებელი მუშაობა? რა საჭიროა სახლის შენება, საჭმლის დამზადება, შეკერა ტანსაცმლისა? ნუ თუ ამდენად სახარბიელოა ჯინჭვლის ცხოვრება ჭრიჭინასთან შედარებით? აკი ჯინჭველი სულ შრომობს, აგროვებს და იმდენად მოუცლელია, რომ სიმღერის დროსაც ვერა პოულობს? ვითომ რას გვიკეთებს ამდენად რთული ინსტინქტები, რომელთა გამოისობითაც ათას გვარად ვშრომობთ ათას ნაირ ნდომის დასაკმაყოფილებლად? მთელი ქვეყანა ჩვენ ერთ დიდ სახელოსნოდ გარდავქმენით, საცა სათამაშოებს ვიკეთებთ. მოწყობილების გულისათვის კმაყოფილება დავკარგეთ.

ჰოი, შთამოებავ ისრაილისა, რად არ იყავით კმაყოფილნი უდაბნოში? მგონი სამაგალითო რამ იყო ეგ უდაბნო. უბრალო და შემრგე საჭმელი მზად იყო თქვენთვის. არ გჭირდებოდათ ზრუნვა სახლის ქირისა და ბაჟის შესახებ; თქვენ მორის ღარიბები არ იყვნენ, მაშასადამე, არც ღარიბთა ხარჯთამკრები იქმნებოდა. არ გაწუხებდათ კუჭის ტკივილი, საჭმლის მოუნელებლობა და არც საზოგადოდ ავათმყოფობა, ნაყროვანებისაგან გამოწვეული. თვითეულს ჰქონდა თვისი კერძი—არც მეტი, არც ნაკლები. ისიც კი არ იცოდით, კუჭ-ღვიძლი გქონდათ თუ არა. არც ექიმები გაწყენდნენ თავს თავიანთ თეორიებით, წამლებითა და აუცილებელის გასამრჯელოთი. თქვენ არც მიწის მფლობელები ჰყოფილხართ, არც მოიჯარადრეები, არც აქციონერები და არც კრედიტორები, არც ამინდისა და ბაზრის დავთარ-ნუსხანი გიღელვებდნენ გულს. ვექილებს თქვენ ვერ იცნობდით და არც გესაჭიროებოდათ მათი რჩევა-თათბირი; არ გქონდათ მიზეზი, რომ მეზობელს წაჰკიდებოდით. არც სიმდიდრე გქონდათ იმისთანა, რომელსაც მღილი და ჟანგი ანადგურებს. თქვენი წლიური შემოსავალ-გასავალი ნამდვილ უდრიდა ერთი-მეორეს; ცოლიცა და შვილებიც უზრუნველ ყოფილნი იყვნენ; არც მოხუცებულობა გაფიქრიანებდათ: იცოდით, რომ კმაყოფილ ცხოვრებისათვის ყოველთვის ყოველივე გექმნებოდათ; დასაფლავებაც, უბრალო და შნოიანი, ყოველთვის გეღირსებოდათ თვისტომთაგან.

მიუხედავად ყველა ამისა, საბრალონო, უგონო ბავშვებო, თუმც ეგვიპტის მონობისგან განთავისუფლდით, კმაყოფილნი მაინც არ იყავით და მოისურვეთ ქვაბი და ხორცი, თუმცა კარგად იცოდით, რაც მოსდევს ქვაბსა და ხორცს: ფხეკა და წმენდა ქვაბისა, ჭედა ქვაბისა, პოვა შეშისა ცეცხლისათვის, ხორცის ქვაბში მოსახარშავად, კვება პირუტყვისა ხორცის მოსაპოვებლად, საკვების დათესვა, მოვლა და მოყვანა იმ პირუტყვებისათვის, რომლის ხორცითაც ქვაბი უნდა გაივსოს... დიაღ, ყოველ შრომას ჩვენის ცხოვრებისას ბოლოს ქვაბსა და ხორცთან მივყავართ. ამ ქვაბთა ტრაპეზზე მოგვაქვს ჩვენი მოცალეობა, ჩვენი სულის მშვიდობა. ერთ ჯამ მოხარშულ ხორცისათვის, ვყიდით ჩვენს უფლებას პირმშოობისას!

ჰოი, შთამოებავ ისრაილისა! ნუ თუ ვერ გრძნობდით, თუ რა ხანგრძლივ სასჯელს იმზადებდით, როდესაც უდაბნოში ხბოს სახე აღმართეთ, დაემხვეთ პირქვე იმის წინაშე და მორთეთ ყვირილი: „ეს იქმნება ჩვენი ღმერთიო!“

თქვენ ხბოს ხორცი გინდოდათ. მერე, არასოდეს არ გიფიქრიათ, თუ რა ფასად უჯდება ადამიანს ხბოს ხორცის მოპოვება? იძულებულნი ვართ ვემსახუროთ „ოქროს ხბოს თავს“. ვხედავ კიდეც მონებს ოქროს ხბოსას. ჩემ თვალთა წინ მიიზლაზნება მათი დაუსრულებელი წყება, მოქანცული, უსიცოცხლო. ვხედავ მათ მაღნებში, შავ-ოფლიანებს; უმზეო ქალაქებში მდუმარეთა, დაღონებულთა, მოხრუკულთ; ვუყურებ მათ წვიმისაგან შეტბორებულ მინდვრებზე ციებისგან ათახთახებულთ; კვლავ ვხედავ უზარ-მაზარ ღუმელებთან სიცხისაგან დამწვართ; ნახევრად შიშველ-ტიტველთ თვისი თავით სხვა-და-სხვა მძიმე ნივთების მატარებელთა; ვუცქერი მათ ლურჯსა და წითელ „მუნდირებში“ გამოწყობილთ, მიმავალთ სისხლის საღვრელად, როგორადაც მსხვერპლთ ოქროს ხბოს ტაძარში შესაწირავთ. იმათგან სავსეა მთელი ხმელეთი, იმათგან აჭრელებულია მთელი ზღვა. ისინი მიჯაჭვულნი არიან ქურებს, კანტორკებს და სკამებს. ისინი ამზადებენ ნიადაგს, ამუშავებენ მინდვრებს, ჭალებს, საცა იბადება ოქროს ხბო. აშენებენ ხომალდებს, რომელსაც დააქვს ხბო ოქროსი; აკეთებენ ჭურჭლებს, მოსახრაკავ ტაფებს, შეამკობენ ჩუქურთმებით მაგიდებს, აქანდაკებენ სკამებს, იგონებენ სხვა-და-სხვა გვარ წვნებს, შოულობენ მარილს, ქსოვენ სახიან სუფრებს, ამკობენ ჯამებსა და მათლაფებს, რომ იმითი ხბო მოიტანონ.

მთელის ქვეყნის შრომასა და მუშაობას ის მიზანი აქვს, რომ ხბოს ხორცი გვაჭამოს. ომიანობა და ვაჭრობა, მეცნიერება და კანონი,—აი ის ოთხი ბურჯი, რომელზედაც დამყარებულია ხბო ოქროსი. იგია ჩვენი ღმერთი. იმის ზურგზე ამხედრებულნი ტყიდანა ვართ მოსულნი, საცა ჩვენი წინაპარი კაკლითა და სხვა ნაყოფებით იკვებებოდა. ის არის ღმერთი ჩვენი. იმისი ტაძარი ყოველ ქუჩაზეა აგებული. იმისი ქურუმები ყოველთვის შესავალთან დგანან და იწოდებენ ხალხს სამსახურად. გაიგონეთ! მათი ხმა მოისმის ამ გაზით გაჟღენთილს ჰაერში: „ჩვენი დრო დადგა! ჩვენი დრო! დრო დადგა ჩვენი! ადამიანებო, იყიდეთ, იყიდეთ! მოიტათ აქ ოფლი შუბლისა თქვენისა, შემძლებელობა ტვინისა თქვენისა, ტკივილი გულისა თქვენისა და სამაგიეროდ მიიღეთ ხორცი ხბოსი. შემოგვწირეთ ჩვენ საუკეთესო ხანა თქვენის სიცოცხლისა; მოგვეცით თქვენი იმედები, თქვენი აზრები, თქვენი სიყვარული,—ჩვენ მოგცემთ ხბოს ხორცს. დადგა დრო! დრო დადგა! იყიდეთ, იყიდეთ, ხალხო!“



მახვილით.—ქანდაკება გ. ფოტისა.

ჰოი, შთამოებავ ისრაილისა! ნუ თუ ხბოს ხორცი, თუნ-და ყოველგვარის წვენით შეზავებულიც, ღირს ამ ფასად?

ჩვენ კი, ჩვენ, აბა რა სიბრძნე შევიძინეთ ამდენ საუკუ-ნოების განმავლობაში?

შალვა დადიანი.

(დასასრული იქნება)

---



ტფილისის საბჭოს ხმოსანმა ს. ზ. მ.-მა სასანიტარო მზრუნველმა და ამავე დროს ზედამხედველმა ქალაქის ხორცის დუქნებისამ შეადგინა ოქმი, ამ ხორცის დუქნის სიბინძურეზე.

## სხვა და სხვა ამბები

**კუნძული გაამე.** ჩრდილოეთ ზღვაში დიდი განსაცდელი მოე-ლის პატარა კუნძულს გაამეს. ისე წელიწადი არ გაივლის, რომ ზღვამ რამდენიმე დღიური ადგილი არ ჩამოაცალოს ამ კუნძულს და არ შთანთქას. ეს კუნძული უწინ ეკუთვნოდა შლეზვიგ-ჰოლშტეინს; იგი გერმანიის საკუთრებას შეადგენს. შლეზვიგ-ჰოლშტეინის სამი-წად-მოქმედო პალატამ სთხოვა გერმანიის მთავრობას, იღონოს რამ ამ კუნძულის გადასარჩენად. ორი საუკუნის წინად ეს კუნძული შეი-ცავდა 1300 ჰექტარს, ხოლო დღეს შეიცავს 500 ჰექტარს. 1800 წელს კუნძულზე სცხოვრობდა 480 სული, დღეს კი 135 სული-ღა სცხოვრობს.

*
* *

**გრამოფონი.** ერთ მოხერხებულ ამერიკელს ძალიან ორიგინალუ-რად გამოუყენებია გრამოფონი. ეს ამერიკელი ვაჭარი, ქუჩა-ქუჩა დადის და გასასყიდი საქონელი ურმით დააქვს. ბევრის ყვირილისა-გან საწყალს ხმა დაეკარგა. დიდ საგონებელში ჩავარდა, მაგრამ ბო-ლოს ადგა, იყიდა გრამოფონი და დადგა თავის ურემზე. ეხლა ეს გრამოფონი ამბობს ხმა-მაღლა იმას, რასაც წინად თვითონ ვაჭარი ამბობდა.



ავლაბარი. კახეთის ქუჩა.—სად არიან სანიტარები?

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

Доз. ценз. Тифлисъ, 30 Сентября 1904 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ისა